ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 790 20-33-05

27 აგვისტო 2014 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №80

კურორტ ბახმაროს საკურორტო სეზონის მიმდინარეობისა და არსებული პრობლემების გადაჭრისათვის, გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საკრებულო ადგენს:

1.ეთხოვოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას:

-შესაბამის სამსახურებთან ერთდ შეიმუშაოს და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოადგინოს ბახმაროს ინფრასტრუქტურის განვითარების ,გადაუდებლად აუცილებელ საკითხთა მოგვარების გგეგმა და გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების გასატარებლად საკითხი დააყენოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროში;

-საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოადგინოს საკითხი ა.ი.პ კურორტ ბახმაროს დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ან მოხდეს საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის გათვალისწინებით, ა.ი.პ კურორტ ბახმაროს ხელახალი დაფუძნება;

-დააყენოს საკითხი ეკონომიკის სამისნისტროს წინაშე ელ.მომარაგების ქსელის „ენერგო პრო ჯოაჯიაზე“ გადაცემაზე;

-საკრებულოზე განსახილველად წარმოადგინოს ინფორმაცია კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წარმოებული მშენებლობების ნებართვის გაცემისა და უნებართვო მშენებლობების შესახებ;

-კურორტ ბახმაროში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება- ჩაბარების კომისიაში შეყვანილი იქნას ა.ი.პ კურორტ „ბახმაროს“ დირექტორი;

-ა.ი.პ კურორტ ბახმაროს სუბსიდირების დროს გაითვალისწინოს კურორტის თანამშრომელთა და ხელშეკრულებით აყვანილი პირების ხელფასების ზრდა;

2. კურორტ ბახმაროს დირექციამ:

-უზრუნველყოს დამსვენებელთა ფასიანი საყოფაცხოვრებო მომსახურეობა, დაადგინოს მომსახურეობის ტარიფები არსებული კანონმდებლობით;

-უზრუნველყოს კურორტიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის თანხის ამოღება;

-დამსვენებელთა ტურისტული მომსახურეობის მიზნით შეიმუშაოს ტურისტული მარშრუტები;

-მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან თანამშრომლობით ჩაატაროს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები;

3. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა:

-საკურორტო სეზონის განმავლობაში კონტროლზე აიყვანოს კურორტ ბახმაროს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;

4. ეთხოვოს სურსათის ეროვნული სააგენტოს, გურიის რეგიონალურ სამმართველოს:

-სეზონის დასაწყისში წარმოადგინოს ინფორმაცია კურორტ ბახმაროს მიმდებარე ალპურ საძოვრებზე არსებული მდგომარეობის შესახებ. კერძოდ მსხვილ ფეხა რქოსანი პირუტყვის დაავადებებისაგან დაცვის თაობაზე;

-მკაცრ კონტროლზე აიყვანოს საზოგადოებრივი კვების, სავაჭრო და სხვა ობიექტებში კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა;

5. ეთხოვოს ბაზრის დირექციას:

-წესრიგში მოიყვანოს ბაზრის ტერიტორია და შენობა ნაგებობანი,რათა დამსვენებელს გაეწიოს ნორმალური მომსახურეობა;

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ:

-გამართოს კონსულტაციები აჭარის მთავრობასთან, ოზურგეთის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებთან (საქართველოს ორგანული კანონის, "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'-დან მუხლი 21, პუნქტი 2 გამომდინარე), კურორტ ბახმაროში ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად;

7. საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-დან (მუხლი 29) გამომდინარე შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან კურორტ ბახმაროს წინაშე არსებულ იმ პრობლემათა გადასაჭრელად, რაც აღემატება ადგილობრივი თვეთმმართველობის შესაძლებლობებსა და უფლებამოსილებებს;

8. კონტროლი განკარგულების შესრულებზე დაეკისროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას და შეგეგები ყოველთვიურად წარედგინოს საკრებულოს;

9.განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

10. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე